899.962.1
ბ - 51

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
•
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

გივი ბერაია

ტარიელ ჭანტურიას პოეზია
(ლირიკა, პოეტური ეპოსი)

10.01.01. – ქართული ლიტერატურა

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
1998

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი	**დავით თევზაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ექსპერტი:	**ბონდო არველაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ოფიციალური ოპონენტები:	**რევაზ მიშველაძე** — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
	თამარ ბარბაქაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
წამყვანი ორგანიზაცია:	სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 25 ნოემბრის 12 სა-ზე საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს (P 10.01. C №3) სხდომაზე

მისამართი: თბილისი 380008, კოსტავას ქუჩა №5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის 23 ოქტომბრის

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ა. არაბული

- 1656 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული ლექსის ფორმისეული და თვისებრივი ნოვაციები, 60-იან და 70-იან წლებში რომ მოიტანეს ცისკრელებმა, კერძოდ კი მათმა ავანგარდისტულმა ფრთამ, ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი; დასადგენია ამ ნოვაციათა მნიშვნელობა და ადგილი ეროვნული ლიტერატურის პერმანენტული განვითარების ჭრილში. პოეტიკის გადასახალისებლად „ყველაზე გაბედულად და ყველაზე დიდი რისკით" ჩაბმული ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაზე რამდენიმე მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული კრიტიკული წერილი, სტატია, რეცენზია გამოქვეყნდა და ქვეყნდება, მაგრამ პოეტის უაღრესად რთული და მრავალფეროვანი მოღვაწეობა უფრო ღრმად და გამოწვლილვით შესწავლის ღირსია. პოეტის ლექსები, პოემები, ესეისტიკა, პოლემიკური წერილები ხელახლა წაკითხვას და შეფასებას საჭიროებს, რამდენადაც იგი თავისებური მხატვრული ანარეკლია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მეოცე საუკუნის მიწურულს მომხდარი უდიდესი ძვრებისა — ეს იქნება სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა სწრაფი განვითარება თუ დემოკრატიის დასაწყისი, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირების ფონზე ადამიანის ფსიქიკის წინააღმდეგობრივი ცვლილებები თუ სამოქალაქო ომითა და ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვით გამოწვეული ეროვნული ტკივილი, რომელმაც ჩვენი თანმედროვის ცნობიერებას თავისი კვალი დააჩნია.

ნაშრომზე მუშაობისას გავითვალისწინეთ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის შეხედულებები ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაზე.

ნაშრომის მიზანი. შევეცადეთ მთლიანობაში წარმოგვედგინა ტარიელ ჭანტურიას ლირიკის ძირითადი ტენდენციები, მისი ლექსის სტი-